



ივლისი 2018

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ექსპერტთა გამოკითხვა

გამოცემა №7

განსხვავდება თუ არა ექსპერტებისა და საზოგადოების ხედვა? ექსპერტებისა და საზოგადოების მოსაზრებების შედარება მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა (GIP) ექსპერტთა რიგით მეშვიდე გამოკითხვა ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც, ექსპერტებს მიმდინარე მოვლენების შესახებ თავიანთი ხედვების გაზიარება სთხოვა. ექსპერტთა გამოკითხვამ იმ 28 უცხოელი და ქართველი ექსპერტის პასუხები გაანალიზა, რომლებიც აქტიურად იკვლევენ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. გამოკითხვის ძირითადი მიზანი იყო გამოეკვლია, თუ რამდენად განსხვავდება საექსპერტო საზოგადოების მოსაზრებები, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე, ქართულ საზოგადოებაში არსებული ხედვებისა და აღქმებისგან. ამდენად, შედარებისთვის კვლევაში გამოყენებული იქნა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საზოგადოებრივი აზრის კვლევებში დასმული შეკითხვები.


საერთო ჯამში, კვლევის შედეგები რამდენიმე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: მკვლევრებს და მოსახლეობას მსგავსი შეხედულებები აქვს ბევრ შიდა და საგარეო პოლიტიკურ საკითხზე. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, როგორც ცალკეული შიდა ინსტიტუტის ფუნქციონირების, ასევე საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის განხორციელების შეფასებაში. მკვლევრები და ექსპერტები, უფრო კრიტიკულად აფასებენ არაერთი ინსტიტუტის ფუნქციონირებას, თუმცა უფრო დადებითად დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის მიმართ, ვიდრე მოსახლეობას.

ზოგადი საკითხები


კვლევის პირველ ნაწილში წარმოდგენილი იყო ზოგადი შეკითხვები, თუ როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო და როგორია საქართველოს მთავრობის საქმიანობის შეფასება. კერძოდ ექსპერტებს დავუსვით სამი შეკითხვა: როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო? (გრაფიკი 1) როგორ შეაფასებდით არსებული მთავრობის მუშაობას? (გრაფიკი 2) და როგორ შეაფასებდით მთავრობის კრიზისების მართვის უნარს? (გრაფიკი 3). ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ მოსახლეობისა და ექსპერტების დამოკიდებულებებს შორის დიდი სხვაობა არ არის.

მოსახლეობა უფრო სკეპტიკურად აფასებს საქართველოს განვითარებას (მოსახლეობის 39% უარყოფითად აფასებს, მაშინ როცა იმავე საკითხზე ექსპერტთა 29% აფიქსირებს ნეგატიურ პასუხს) (გრაფიკი 1). მიუხედავად ამისა, მოსახლეობა უფრო ოპტიმისტურია, როდესაც საქმე ეხება ამჟამინდელი მთავრობის საქმიანობის შეფასებას: გამოკითხული მოსახლეობის 14% დადებითად აფასებს მთავრობის საქმიანობას, მაშინ როცა ექსპერტთა მხოლოდ 4% აფიქსირებს პოზიტიურ შეფასებას აღნიშნულ საკითხზე. ამასთან, მოსახლეობის 33% მიიჩნევს, რომ მთავრობა ცუდად ან ძალიან ცუდად მუშაობს, მაშინ როცა მკვლევართა 39% აფიქსირებს ნეგატიურ პასუხს იმავე შეკითხვაზე (გრაფიკი 3). გამოკითხვის ფარგლებში, ჩვენ ასევე ვთხოვეთ ექსპერტებს შეეფასებინათ საქართველოს მთავრობის კრიზისების მართვის უნარი. საერთო შეფასება საკმაოდ უარყოფითია (გრაფიკი 3). გამოკითხულ ექსპერტთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მთავრობა კრიზისებს ცუდად მართავს და მხოლოდ 11% აფასებს მთავრობის საქმიანობას ამ მიმართულებით დადებითად (გრაფიკი 3). საინტერესოა, რომ საქართველოს მთავრობის კრიზისების მართვის უნარი ქართველმა ექსპერტებმა უფრო პოზიტიურად შეაფასეს ვიდრე საერთაშორისო ექსპერტებმა, რომელთა 65% -მა მთავრობის კრიზისების მართვის უნარი ცუდად ან ძალიან ცუდად შეაფასა (გრაფიკი 3).


გრაფიკი 1. როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო?



გრაფიკი 2: როგორ შეაფასებდით არსებული მთავრობის საქმიანობას?



გრაფიკი 3: როგორ შეაფასებდით საქართველოს მთავრობის კრიზისების მართვის უნარს?



ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება და პოლიტიკის მიმართულებები


გამოკითხვის ფარგლებში, ექსპერტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ კონკრეტული ინსტიტუტების საქმიანობა და პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში არსებული მდგომარეობა (გრაფიკები 4, 5 და 6). მივიღეთ შემდეგი სურათი: მოსახლეობა უფრო სკეპტიკურად აფასებს კონკრეტული პოლიტიკის სფეროებში არსებულ სიტუაციას, თუმცა უფრო დადებითადაა განწყობილი ხელისუფლების საქმიანობას მიმართ ზემოთხსენებულ და სხვა სფეროებში. განსხვავებები უფრო აშკარაა, კონკრეტული სფეროების შედარებისას. ყველაზე შესამჩნევი განსხვავება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობის შეფასებას უკავშირდება. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია რეგულარულად იღებს საზოგადოებრივი აზრის კვლევებში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ შეფასებას. 2018 წლის მარტის NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევაში, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას მეორე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა და მხოლოდ საქართველოს ჯარს ჩამორჩებოდა (გრაფიკი 4). მკვლევრების შეფასება კი საპირისპირო აღმოჩნდა: მკვლევრებმა და ექსპერტებმა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობა საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით შეაფასეს (გრაფიკი 4). მხოლოდ პროკურატურის საქმიანობა იქნა უფრო უარყოფითად შეფასებული. მნიშვნელოვანია განვიხილოთ სხვა განსხვავებებიც. საზოგადოებრივი აზრის კვლევებისგან განსხვავებით, ექსპერტებმა და მკვლევრებმა სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა ყველაზე დადებითად შეაფასეს, ხოლო პარლამენტის, სასამართლოსა და პროკურატურის საქმიანობა ყველაზე უარყოფითად (გრაფიკი 4). ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც დადებითად იყო შეფასებული როგორც ექსპერტების ისე საზოგადოების მიერ, იყო საქართველოს ჯარი და პოლიცია (გრაფიკი 4).

რაც შეეხება ბოლოდროინდელი მდგომარეობის შეფასებას პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში, ექსპერტებსა და მკვლევრებს უფრო ოპტიმისტური ხედვები აქვთ, ვიდრე მოსახლეობას (გრაფიკი 5). კვლევის მიხედვით, დამოკიდებულებებს შორის განსხვავება ორ ძირითად საკითხთან დაკავშირებით იკვეთება: ეროვნული უსაფრთხოება და ეკონომიკა შეფასებულია, როგორც ყველაზე პრობლემური სფერო როგორც ექსპერტების, ასევე მოსახლეობის მიერ. თუმცა ექსპერტების 44% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, მაშინ როცა მოსახლეობის 68% ფიქრობს ასე. განსხვავება ასევე შეინიშნება ეროვნული უსაფრთხოების სფეროში. ექსპერტთა 78% ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებულ სიტუაციას აფასებს, როგორც არც კარგი და არც ცუდი და მხოლოდ 15% ფიქრობს, რომ მდგომარეობა გაუარესდა ამ მიმართულებით (გრაფიკი 5). ამის საპირისპიროდ, ბოლო პერიოდში NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (46%) მიიჩნევს, რომ საქართველოში ეროვნული უსაფრთხოება გაუარესდა (გრაფიკი 5).


საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებთან შედარებით, მკვლევრებს აქვთ უფრო მეტად ნეგატიური დამოკიდებულება კორუფციასთან დაკავშირებით, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე (გრაფიკი 6). ექსპერტთა 82% მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობაში არის კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები, მაშინ როცა მოსახლეობის მხოლოდ 44% თვლის ასე (გრაფიკი 6). სურათი უფრო თვალსაჩინოა ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებში არსებული კორუფციის შეფასებისას (გრაფიკი 6). თუმცა საპირისპირო შედეგებია, როდესაც საქმე საჯარო სამსახურში კორუფციის საკითხს ეხება. აღნიშნულ შემთხვევაში, ექსპერტები შედარებით უფრო ოპტიმისტურები არიან. ექსპერტთა 61%-ს და საზოგადოების 51%-ს არ სჯერა, რომ საჯარო სამსახურში კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები არსებობს (გრაფიკი 6).

გრაფიკი 4. როგორ შეაფასებდით შემდეგი ინსტიტუტების ფუნქციონირებას:

მკვლევრები



მოსახლეობა




■ ძალიან კარგად ■ კარგად ■ საშუალოდ ■ ცუდად ■ ძალიან ცუდად ■ არ ვიცი


■ ძალიან კარგად ■ კარგად ■ საშუალოდ ■ ცუდად ■ ძალიან ცუდად ■ არ ვიცი

გრაფიკი 5. როგორი დამოკიდებულება გაქვთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობაზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში?

მკვლევრები




მოსახლეობა




გრაფიკი 6. ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით მოცემულ მოსახრებებს?

მკვლევრები



მოსახლეობა



საგარეო პოლიტიკის საკითხები


ექსპერტებისა და მოსახლეობის მოსაზრებები, ასევე განსხვავდება საგარეო პოლიტიკის საკითხებზე (გრაფიკები 7 და 8). გამოკითხულ მკვლევრებს და ექსპერტებს უფრო დადებითი აზრი აქვთ იმაზე, თუ როგორ წარმართავს საქართველო რუსეთთან ურთიერთობას. ექსპერტების 75% და მოსახლეობის მხოლოდ 31% აფასებს დადებითად საქართველოს მთავრობის პოლიტიკას რუსეთის ფედერაციის მიმართ.

ექსპერტები ასევე, უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ექსპერტთა შორის ნაკლებია იმ გამოკითხულთა რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია ან უცხოური ბაზების საქართველოში განთავსება გაზრდის რუსეთისგან მომდინარე საფრთხეს. (გრაფიკი 8). ასევე მცირეა იმ ექსპერტთა რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ნატოში გაწევრიანება საქართველოს აიძულებს მიიღოს დასავლური კულტურული ღირებულებები ან საფრთხეს შეუქმნის საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას. მეორე მხრივ, ექსპერტები არ მიიჩნევენ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება ხელს შეუწყობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას (გრაფიკი 8).

დასკვნა


დასკვნისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებისა და მოსახლეობის მოსაზრებები განსხვავდება არაერთ საკითხთან დაკავშირებით, ვერ ვიტყვით, რომ საზოგადოებისა და ელიტის აღქმებს შორის არსებითი სხვაობაა. თუმცა არის ცალკეული მნიშვნელოვანი განსხვავებები კორუფციისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ისეთი ინსტიტუტების შეფასებისას, როგორებიცაა ეკლესია და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა გამოკითხვა არ მოიცავდა შეკითხვებს ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც სავარაუდოდ გაზრდიდა განსხვავებას ექსპერტებისა და მოსახლეობის დამოკიდებულებებს შორის.

გრაფიკი 7. როგორ შეაფასებდით საქართველოს მთავრობის უნარს წარმართოს ურთიერთობები რუსეთთან?




გრაფიკი 8: განსხვავებული მოსაზრებები არსებობს საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით შემდეგს?

მკვლევრები



მოსახლეობა



შენიშვნები:

გრაფიკი 1 [“როგორ იმდარტულეხითეფთარდებასაქართველო?”]:

შედეგები მოსახლეობის აზრთან დაკავშირებით წარმოდგენილია: “საზოგადოების განწყობა საქართველოში“, 2018 წლის მარტის გამოკითხვის შედეგების შესაბამისად. ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ. გვ. 8. ხელმისაწვდომია - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_English_final.pdf ; წვდომის თარიღი 14 ივლისი, 2018.

გრაფიკი 2 [“როგორ შეაფასებდით ამჟამინდელი მთავრობის საქმიანობას?”]:

შედეგები მოსახლეობის აზრთან დაკავშირებით წარმოდგენილია: “საზოგადოების განწყობა საქართველოში“, 2018 წლის მარტის გამოკითხვის შედეგების შესაბამისად. ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ. გვ. 12. ხელმისაწვდომია - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_English_final.pdf ; წვდომის თარიღი 14 ივლისი, 2018.

გრაფიკი 4 [“როგორ შეაფასებდით საქმიანობას?”]:

შედეგები მოსახლეობის აზრთან დაკავშირებით წარმოდგენილია: “საზოგადოების განწყობა საქართველოში“, 2018 წლის მარტის გამოკითხვის შედეგების შესაბამისად. ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ. გვ. 54. ხელმისაწვდომია - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_English_final.pdf ; წვდომის თარიღი 14 ივლისი, 2018.

გრაფიკი 5 [“როგორი დამოკიდებულება გაქვთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობაზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში?”]:

შედეგები მოსახლეობის აზრთან დაკავშირებით წარმოდგენილია: IRI-ის 2018 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების შესაბამისად. 2018, 10-22, აპრილი 2018, გვ.59. ხელმისაწვდომია- http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29_georgia_poll_presentation.pdf ; წვდომის თარიღი 14 ივლისი, 2018.

.

გრაფიკი 6 [“ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით მოცემულ მოსაზრებას?”]:

შედეგები მოსახლეობის აზრთან დაკავშირებით წარმოდგენილია: “საზოგადოების განწყობა საქართველოში“, 2018 წლის მარტის გამოკითხვის შედეგების შესაბამისად ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ. გვ.13. ხელმისაწვდომია - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_English_final.pdf ; წვდომის თარიღი 14 ივლისი, 2018.

გრაფიკი 7 [“როგორ შეაფასებდით საქართველოს მთავრობის უნარს წარმართოს ურთიერთობები რუსეთთან?”]:

IRI-ის 2018 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების შესაბამისად. 2018, 10-22, აპრილი 2018, გვ.34. ხელმისაწვდომია- http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29_georgia_poll_presentation.pdf ; წვდომის თარიღი 14 ივლისი, 2018.

გრაფიკი 8 [“განსხვავებული მოსაზრებები არსებობს საქართველოს ნატოში

გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით შემდეგს?”]:

შედეგები მოსახლეობის აზრთან დაკავშირებით წარმოდგენილია: “საზოგადოების განწყობა საქართველოში“, 2018 წლის მარტის გამოკითხვის შედეგების შესაბამისად ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ. გვ.51. ხელმისაწვდომია - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_English_final.pdf ; წვდომის თარიღი 14 ივლისი, 2018.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

დოკუმენტის ციტირების წესი: ექსპერტთა გამოკითხვა #7, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივლისი 2018.

© Georgian Institute of Politics, 2018

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

www.gip.ge